

Géorges Bell. Dix jours a Tiflis.
L'Illustration Journal Universel. 1868, 5 septembre, 155-157.

Tiflis est une des villes les plus singulière et une ville plus intéressantes que puisse rencontrer un voyageur curieux. Elle est assez voisine de l'Europe pour qu'il ne soit pas encore trop difficile de s'y procurer toutes les aises de notre civilisation, et l'on n'y fait pas sans que le regard soit arrêté par quelque'une des étrangetés de l'Asie. Une rivière charmant, aux flots limpides et azures, la Koura, traverse la ville. Sur ses bords, les maisons sont jetées avec une nonchalance asiatique. Bien que souvent elles contiennent d'aussi nombreux habitants que nos grands immeubles parisiens, ces maisons n'ont nullement cet aspect de caserne qu'on remarque partout aujourd'hui dans nos villes occidentales. Les constructions s'étendent sur de larges espaces, et souvent des plantations et des jardins séparant les divers corps de logis. Ceci a lieu surtout dans les habitations arméniennes, qui n'économisent pas le terrain avec une avaricieuse parcimonie. Quand l'industrie et commerce ont enrichi un Arménien, il se croirait déshonoré s'il ne profiterait pas de cette richesse pour donner à lui et aux siens toutes les jouissances de la vie intérieure. Et alors il prodigue les galeries d'abord, qui font circuler partout un air salubre, et puis les tentures et les tapis aux couleurs éclatantes et les meubles riches et précieux. Ce qu'il aime également, ce qu'il lui faut, ce sont les eaux vives qu'il amène souvent de loin et recueille dans fontaines murmurantes, ne laissant épancher que ce qui doit entretenir la fraîcheur et favoriser l'épanouissement de la verdure et des fleurs, qui embaument toute la maison de leurs suaves parfums.

თბილისი ის ერთ-ერთი ყველაზე განუმეორებელი და საინტერესო ქალაქია, რომელსაც ცნობისმოყვარე მოგზაური შეხვდება. ის საკმაოდ ახლოს არის ევროპასთან და ამიტომ არც თუ ისე რთულია იქ ჩვენი ცივილიზაციის ყველა სიკეთის მიღება და ამასთან, გვერდს ვერც აზიის ზოგიერთ უცნაურობას აუვლი. ქალაქზე გაედინება გამჭვირვალე და ცისფერ ტალღებიანი მომხიბლავი მდინარე მტკვარი. მის ნაპირებზე სახლები აზიური დაუდევრობითაა მიმოფანტული. თუმცა ამ სახლებში იმდენივე ადამიანი ცხოვრობს, რამდენიც ჩვენს პარიზულ დიდ შენობებში, ამ სახლებს არ აქვთ ისეთი ყაზარმული იერსახე, რომელსაც დღეს ჩვენი დასავლეთის ქალაქებში ყველგან დაინახავ. ნაგებობები დიდ ფართობებზე ვრცელდება და ხშირად პლანტაციები და ბაღები მიჯნავენ ერთმანეთისგან სხვადასხვა მთავარ შენობებს. ეს განსაკუთრებით სომხების საცხოვრებელ სახლებს ეხება, რომლებიც მიწას მომჭირნეობით არ ეკიდებიან. მრეწველობითა და ვაჭრობით გამდიდრებული სომეხი თავს შერცხვენილად ჩათვლის, თუ არ ისარგებლებს ამ სიმდიდრით და საკუთარ თავსა და თავის ოჯახს სასიამოვნო შინაურ ცხოვრებას არ შეუქმნის. ის ჯერ გალერეებზე ზრუნავს, სადაც ყველგან ჯანსაღი ჰაერი მოძრაობს, შემდეგ კი კაშკაშა ფერის ფარდებზე, ხალიჩებზე, მდიდრულ და ძვირფას ავეჯზე. ამას გარდა, ის რაც მას უყვარს და სჭირდება, წყაროს წყალია, რომელიც ხშირად შორიდან გამოჰყავს, მოჩუხჩუხე შადრევნებში აგროვებს და მას მხოლოდ სიგრილის შესანარჩუნებლად და იმ სიმწვანისა და ყვავილების მოსარწყავად იყენებს, რომლებიც სახლს ტკბილი სურნელით ავსებენ.

Les caravans qui passent à Tiflis font le double commerce de l'importation et de l'exportation. Viennent-elles de la Haute-Asie et jusque des confins de la Mongolie et de l'empire chinois? Elles apportent des soieries, des pierres précieuses, du thé et d'autres plantes qu'on ne trouve guère que par delà les grands deserts de l'Asie centrale. En retour, et pour remplacer les charges don't elles ont

débarassé leurs bêtes de somme, elles prendront les marchandises qui se fabriquent à Tiflis ou qui s'y trouvent en entrepôt. Celles-ci ne viendront jamais qu'en seconde ligne, car la capitale du Caucase est une des cites les plus industrielles qui soient en Orient.

თბილისში ჩამოსული ქარავნები ორმაგ ვაჭრობას, იმპორტს და ექსპორტს, აწარმოებენ. ისინი ზემო აზიიდან¹, მონღოლეთისა და ჩინეთის იმპერიის საზღვრებიდანაც კი მოდიან. მათ ჩამოაქვთ აბრეშუმის ნაწარმი, პატოსანის თვლები, ჩაი და სხვა მცენარეები, რომლებიც მხოლოდ ცენტრალური აზიის დიდი უდაბნოების მიღმა გვხვდება. დაბრუნებისას და მათი პირუტყვის ჩამოტანილი ტვირთის სანაცვლოდ, მათ მიაქვთ თბილისში დამზადებული ან ქალაქის საწყობებში შენახული საქონელი, რომელიც მუდამ მეორე ადგილზე იქნება, რადგან კავკასიის დედაქალაქი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე სამრეწველო ქალაქია.

Pour preuve, voyez courir ce moucha ou portefaix, pliant sous le lourd fardeau qui courbe ses épaules. Ce que contient l'énorme ballot dépend beaucoup de la maison et du quartier d'où est sorti l'homme de peine. Est-il aux gages d'un Géorgien? Alors il porte ou du ligne ouvré avec des fils de couleurs diverses et formant des dessins bizarre (155), ou des étoffes de laine pour les vêtements, ou des tapis presque aussi beaux et aussi recherchés que ceux de Smyrne et de Perse. S'il vient de chez un Arménien, il y aura toujours des armes, des denrées exotiques et des parfums dans le ballot. Le marchandises seront encore différentes si celui qui s'en défait et en prend d'autres en échange est un Greco u un Tatar. Car toutes ces nationalités, toutes ces races se rencontrent à Tiflis et y vivent côte à côte.

ამის დასტურად, შეხედეთ, როგორ გარბის მძიმე ტვირთის ქვეშ მხრებში მოხრილი ეს მუშა თუ მეზარგული. ის, რაც უზარმაზარ შეკვრამია, ბევრად არის დამოკიდებული იმ სახლსა და უბანზე, თუ საიდან მოდის ეს შავი მუშა. მას ქართველი უხდის ფულს? მაშინ მას მიაქვს თეთრეული, გაწყობილი ფერადი ძაფებით, რომელიც უცნაურ სახეებს ქმნიან, ან შალის ქსოვილები ტანსაცმლისთვის, ან თითქმის ისეთივე ლამაზი და დახვეწილი ხალიჩები, როგორც სმირნული² და სპარსულია. მაგრამ თუ სომხის სახლიდან მოდის, ფუთაში ყოველთვის იქნება იარაღი, ეგზოტიკური საქონელი და სუნამოები. საქონელი განსხვავებული იქნება, თუ საქონლის გამყიდველი და სანაცვლოდ სხვა საქონლის ამღები ბერძენი ან თათარია. რადგან ყველა ეს ეროვნება, ყველა ეს რასა თბილისში ხვდება ერთმანეთს და იქ გვერდიგვერდ ცხოვრობს.

C'est même, dans toute cette zone, la ville où sont le plus rares les dissemntiments et les violences qu'engendrent presque toujours de semblables phénomènes du juxtaposition, surtout quand ils sont unis à des religions et à des cultes divers.

ამას გარდა, მთელ ამ რეგიონში თბილისი არის ის ქალაქი, სადაც ძალიან იშვიათია ასე გავრცელებული დაპირისპირება და ძალადობა, რაც თითქმის ყოველთვის იჩენს თავს მსგავსი სიახლოვის პირობებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს სხვადასხვა რელიგიასა და კულტურას უკავშირდება.

¹ ზემო აზია (la Haute-Asie) – გეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც ჩვეულებრივ მდებარეობს შუა აზიას, ციმბირსა და ჰიმალაის მთებს შორის. მოიცავს ტიბეტს, სინძიანს, მონღოლეთს და სხვ.

² იზმირი.

Pour bien juger Tiflis, on n'a donc rien de mieux à faire qu'à se promener dans les rues formées par le campement d'une caravane sur les rives de la koura. Là viendront certainement le Géorgien, homme, et femme, et on pourra personnellement admirer ce beau type, qui est sans contredit un des plus riches spécimens de l'espèce humaine; – l'Arménien, le plus placide, le plus grave et le plus retors de tous les Orientaux; l'ouvrier grec, qui ne diffère guère de tous ceux qu'on rencontre dans les villes de l'Asie Mineure: il est tout aussi turbulent, affairé, vaniteux de sa capacité et prompt à vanter l'excellence de son industrie. Je ne mentionnerai que pour mémoire les européens, qui sont fort dignement représentés à Tiflis, et qui y trouvent une excellente place de commerce. Mais je dois vous parler un peu plus longtemps des Tartars, qui forment un fonds considérable de la population indigène. On les rencontre à la fois dans la ville et à la campagne. Ils sont loin d'être beaux, et ce n'est point à eux que (156), peut s'appliquer la réputation des enfants du Caucase. Mais à la fierté de leurs attitudes, à leur langage, à leurs sentiments, on voit qu'ils se croient toujours au temps de leur grand Khan, Haslam Gherai.

ამიტომ, თბილისის უკეთესად შესაფასებლად, ყველაფერზე უკეთესი მტკვრის ნაპირებზე დაბანაკებული ქარავნის მიერ შექმნილ ქუჩებში გასეირნებაა. იქ აუცილებლად მივლენ ქართველები, კაციც და ქალიც და ჩვენ პირადად შეგვეძლება ამ ულამაზესი ტიპის ცქერით აღფრთოვანება, რომელიც უეჭველად არის ადამიანის ჯიშის ერთ-ერთი უმდიდრესი წარმომადგენელი; – აღმოსავლეთის მკვიდრთა შორის, სომეხი ყველაზე მშვიდი, დინჯი და გაქნილია; ბერძენი მუშა თითქმის არაფრით განსხვავდება მცირე აზიის ქალაქებში შემხვედრი ბერძნებისგან: ის ისეთივე მოუსვენარი, საქმიანი, პატივმოყვარეა თავისი შესაძლებლობების გამო და მუდამ მზადაა თავისი ხელობის უპირატესობით საკვებზე. ცნობისთვის ვიტყვი, რომ ევროპელები ძალიან ღირსეულად არიან წარმოდგენილნი თბილისში და მათ იქ ჩინებული ადგილი ნახეს ვაჭრობისთვის. მაგრამ ოდნავ მეტი უნდა ვთქვა თათრებზე, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქმნიან. მათ ქალაქშიც შეხვედები და სოფელშიც. ისინი არ არიან ლამაზები და მათ ვერ მიუსადაგებ კავკასიის შვილების რეპუტაციას. მაგრამ როგორც მათი შეხედულებების, ენის, გრძნობების სიამაყიდან ჩანს, მათ ჯერ კიდევ სჯერათ, რომ თავიანთი დიდი ხანის, ასლან გირეის³, დროში არიან.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებია)

³ ავტორი გულისხმობს: 1. ყირიმის უკანასკნელი ხანის, შაჰინ გირეის (1745-1787), ვაჟს, ასლანს (L.-T. d'Asfeld, Haslam-Gherai, sultan de Crimée, en: Voyages et souvenirs du duc de Richelieu, président du conseil des ministres, où l'on a mêlé plusieurs fragmens des Mémoires inédits de cet homme célèbre. Deuxième édition. Paris, Périsier, 1827, p. 29). 2. სულთან ასლან გირეის – ყუბანის სერასკირს, რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლების ომის მონაწილეს.